სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/07

ქ. თბილისი 17 მარტი 2023

სტუ-ის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 07 მარტის №0000269038 და 09 მარტის №0000272678 წერილის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს სწავლული მდივნის, პროფესორ იაშა კუტუბიძის 2023 წლის 17 მარტის №0000305495 წერილის, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერის №0000297049 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 17 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

დამტკიცდეს სტუ-ის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისს დაემატოს I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული, ყოველთვიური ანაზღაურებით 1 300 ლარი; სამი II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატის ნაცვლად დარჩეს ერთი - II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული - ანაზღაურებით 900 ლარი;
2. აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის ხელფასი განისაზღვროს ყოველთვიური ანაზღაურებით 2 000 ლარი; სამდივნოს II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი (2 ერთეული) გადაკეთდეს I კატეგორიის უფროს სპეციალისტად;
3. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის ხელფასი განისაზღვროს ყოველთვიური ანაზღაურებით 1 500 ლარი; სპიკერის თანაშემწის ხელფასი განისაზღვროს ყოველთვიური ანაზღაურებით 1 300 ლარი;

4. ასევე შევიდეს ცვლილება დაცვისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის შტატგარეშე მომუშავე პერსონალის ნუსხაში და მცველთა რაოდენობა განისაზღვროს 115 მცველით, ანაზღაურებით თვეში 550 ლარი; შეიქმნას ობიექტის დაცვის უფროსის თანამდებობა (6 ერთეული) ანაზღაურებით თვეში 850 ლარი; გაუქმდეს ცვლის უფროსის თანამდებობა (12 ერთეული) და გამოთავისუფლებული ბიუჯეტის ხარჯზე შეიქმნას სწრაფი რეაგირების ჯგუფი (6 ერთეული), ცვლაში 2 მცველი ანაზღაურებით თვეში 900 ლარი;

5. აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდეს 2023 წლის 1 მარტიდან;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**